სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ

გაცნობებთ, რომ შპს „ელ-სი ოილი“ ქ. თბილისში, იუმაშევის ქუჩა #4-ის ტერიტორიაზე გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობას.

საპროექტო ტერიტორია (ს/კ 01.19.15.003.003) წარმოადგენს შპს „ბლოკ ინვესტი“-ს საკუთრებას, რომელიც აღნაგობის უფლებით გადაცემული აქვს შპს „ელ-სი ოილს“.

ზემოაღნიშნული საქმიანობა, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს, მე-II დანართის, მე-6 პუნქტის, 6.3 ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას. ამასთან, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სააგენტოს სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე, ამ კოდექსის მე -8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება.

აქედან გამომდინარე, განსახილველად და შესაბამისი სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით წარმოგიდგენთ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის და ექსპლოატაციის მიზნით მომზადებულ სკოპინგის ანგარიშს.

დანართი - სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია

SHP ფაილები

პატივისცემით,

თორნიკე ჯანაშვილი

დირექტორი

შპს „ელ-სი ოილი“